ეშმაკების ეპოქა

ფასი 17 მ.

№ 17

1920 წ.
მარტის 14

ამა ამისთვისაო--ამ დღისთვისაო.

საქართველო. ეს ჩემი სახლის კარი თუ არ გავაღე და კლიტე მე არ შევინახე, ყველას სული შეგვეხუთება და შიგვე გაიმმეხრჩობა მთელი ოჯახი (**კარს აღებს**)...

აზერბეიჯანი. (**ჩუმად, თავისთვის**) ოჰ, რა რიგათ მიყვარს ეს ჩემი მეზობელი და მეგობარი! შიშისაგან გული მიფანცქალებს, ამ სიმ.ღლეზე ასულს რომ ვუყურებ... ვნ.ხოთ, ერთბაშათ ჩამოვარდა, ხომ დაიმტვრევა! მოდი მეგობრობას გავუწევ: ამ სკამს ფეხებს დავაჭრი და დავადაბლებ.. უფრო ადვილადაც ჩამოხტება... ჩქარა კი უნდა ვხერხო, რომ კარის გაღება ევრ მოასწროს!

ქვორუმი.

ღმერთმა ყველაფერში გაშოროთ კაცი ჯიუტი და თავნება. განა სხვას იმდენ რას აკნებს, რამდენსაც თავის თავს ივნებს, მაგრამ მაინც არ მომწონს ჯიუტი ადამიანი!

მე კი თითონ ჯიუტი და კერპი ვინმე ვარ. დავიჟინე: არას მამაჩვენობით არავის არ ვკითხო ვინ არის ის ჩემი ცოდვით სავსე ქვორუმი და რაც უნდა დამიჯდეს საკუთარი საშუალებით აღმოვაჩინო ის.

რა ხერხს არ მივმართე, რა ეშმაკობა არ ვიხმარე ამ მიზნის მისაღწევათ, მაგრამ ჯერ ჯეროობით ყველაფერი ამაო გამოდგა.

ჩემი მეგობარი დავით ჩადუნელი, როცა მას სახლისკენ მივიპატიჟებ ხოლმე, ყოველთვის მეუბნება: ქალაქის საბჭოს კრებაზე, ან ფრაქციის კრებაზე, ან საბიუჯეტო კომისიის კრებაზე ან ათას სხვა კრებაზე მივდივარო. ხოლო როცა პატარა ხნის შემდეგ ქუჩაში ვხვდები ქალიშვილებთან ტკბილათ მოჭუკჭუკეს და თითს დავუქნევ ხოლმე, სწრაფად მიპასუხებს:

— ვიყავი ღმერთმანი, მაგრამ ქვორუმი არ დარჩაო. გესმისთ ხალხნო? ასეა მუდამ, განა მარტო დათიკო. ქვეყანა ასე ლაპარაკობს. დამფუძნებელი კრება, ყველა მისი ფრაქციები (გარდა ვეშაპელისა) ყველა მისი კომისიები, პოდკომისიები, წარმოიდგინეთ ხშირად მთავრობის სხდომებიც კი, ყველანი ერთხმად ემდურიან ამ ჩემს გამაწამებელ ქვორუმს.

— ქვორუმი არ იყო კრება არ შესდგაო; ამბობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ალექსანდრე ლომთათიძე.

— ქვორუმი არ იყო კრება დაიხურაო, ამბობს ქალაქის მოურავი ბენიამენ ჩხიკვიშვილი.

— ქვორუმი არ იყო კრება გადაიდოო, ამბობს ფრაქციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი.

რომელი ერთი მოვთვალო, ასეა ყველგან და ყოველთვის.

ოჰ ქვორუმო, ქვორუმო! როცა იქნება ჩამივარდები ხელში.

მაგრამ „ერთი მგლისაკენ და ერთიც თხისკენო“ ამბობს ქართული ანდაზა. სამართლიანი თქმულებაა. ერთი ფიქრით გული არ მომიშლის კბილებით დავგლიჯო ეს ქვორუმი, უკეთუ ხელში ჩამივარდებოდეს, მაგრამ მეორე წამში გული სულ სხვას მეუბნება:

— რას ერჩი ჩემო კარგო იმ უბედურს. ხომ ხედავ ყველა კრება, ყოველი დაწესებულება, ყოველგვარი საქმე იმის კისერზე ყოფილა დაკისრებული. თუ ის არ დაესწრო, ისე თურმე ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. რა ქნას საწყალმა როშელ ერთ კრებას დაესწროს, შვაზე ხომ ვერ გასწყდება?

ერთი წუთით, როცა ბრაზი მომერევა მის მოკვლას გული არ დამიშლის, მაგრამ მეორე წუთში, როცა მღელვარე გული დამიწყნარდება ვფიქრობ:

— რა გვეშველება ქართველებს, რომ ღმერთი გასწყრეს და ამ ქვორუმს რაიმე მარცხი მოუვიდეს ხომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ?

ასეთი სულიერი განწყობილების დროს, მიუხედავათ იმისა, რომ ათასჯერ გადაწყვეტილი მაქვს უზენაესის წინაშე არავის პროტექცია არ გაუწიო, მაინც დავეპირები ხოლმე ქვორუმის დღეგრძელობისათვის ლოცვა-ვედრების აღვლენას.

ასე ვიწვი და ვიტანჯები, ძვირფასო მკითხველო ამ ქვორუმისაგან, როგორც იტყვიან „ღამე ძილი არა მაქვს და დღეი მოსვენება“.

მაკვირვებს მე ერთი ახირებული გარემოება. სახელდობრ ისა, რომ ზოგიერთებს უხარიათ, როცა ქვორუმს ვერ ხედავენ.

ამ წინაზე ფრაქციის ოთახში ვიჯექი ბუხართან; კარგი ცეცხლი იციან. თერთმეტ საათზე კრებაც უნდა გახსნილიყო. გაიღო კარები, პეტრემ შემოიხედა, მიმოავლო თვალები და სთქვა:

— ქვორუმი არ არის... ცხადია კრება არ შესდგება... მყის კარები გაიხურა და ახიარულათ დაეშვა კიბეზე.

ასე დათომ!

ასე თომამ!,

ასე მიშამ!,

ასე ლევანმა!,

ასე ბარბარემ!,

ასე ნიკიფორემ!

ყველანი შემოიჭვრეტდენ და რაკი ქვორუმს ვერ დაინახავდენ მხიარულნი გარბოდენ დარბაზიდან.

— ძალიან კი შინებიათ ამ ქვორუმისა! გავიფიქრე მე გუნებაში და ჩემი ცნობისმოყვარეობა უფრო გაიზარდა. მივუბრუნდი და მიტოსა ვკითხე:

— მეგობარო, ეს ქვორუმი რო კრებებს არ ესწრება ხომ არ სვამს ჩუმჩუმათ?

— ოო, რა ეშმაკი ხარ! რა ეშმაკი! ჩაიცინა მიტომ და ჩემი კითხვა უპასუხოდ დასტოვა.

აღარც მე დავეკითხე.

დე, ვიტანჯო! როცა იქნება ხომ აღმოვაჩენ! ხელთ საკმაო საბუთები მაქვს, რომ მის კვალს მივაგნო და სადაც იქნება ჩავიჭირო. არ ვიცი რისთვის მგონია, მაგრამ ჩემის აზრით ქვორუმს ძლიერ დიდი ცხვირი უნდა ჰქონდეს.

თებერვლის 27-ს დამფუძნებელი კრება დიდხანს იჯდა ქვორუმის მოლოდინში. როგორც სახეზე შევატყვე, ზოგიერთებს კიდევაც უხაროდათ მისი მოუსვლელობა და სახლში წასასვლელად მხრები აწყობილი ჰქონდათ. დაღვრემილი იჯდა მარტო პრეზიდიუმი. დეპუტატები ერთობ ზანტათ შემოდიოდენ სასაზაუზმე ოთახიდან. მე განსაკუთრებულის ყურადღებით ვადევნებდი თვალს კრების თავმჯდომარეს, რათა გამეგო ვისი შემოსვლა მოახდენდა

მასზე შთაბეჭდილებას. როცა სხდომის დარბაზში ვლასა მგელაძე შემოიმართა, თავმჯდომარეს სახე გაუნათლდა და ნელის ხმით განაცხადა: „კრება გახსნილიაო“.

მაშინათვე დავასკვენი: თუ ვინ ჰეა ქვორუმი უთუოდ ლასა მგელაძე იქნება მეთქი. იმის შემოსვლამდი დარბაზში ქვორუმი არ იყო, ხოლო როცა ის შემოვიდა მაშინ კი დარჩა. ცხადია ქვორუმი ლასა მგელაძე ყოფილა! ცხვირიც რომ ხელს უწყობს!! ერთობ მესიამოვნა ეს გარემოება, მაგრამ როგორც ყოველთვის, სიამოვნება ახლაც წუთიერი გამოდგა. ჩემ მიერ აღმოჩენილი ქვორუმი მცირე ხანს იჯდა დარბაზში, ადგა და გავიდა. კრება კი არ დაუსურავთ. მაშ ქვორუმი დარჩა დარბაზში.

ბრაზით წვერები კინალამ დავიგლიჯე. გეფიცებით თავს მოვიკლავდი რომ საღამოსთვის კონცერტის ბილეთი არ მქონოდა ნაყიდი. გაგონილა ასეთი ხათაბალა?

გულზე მოწოლილი სევდები მცირე დენ ისევ ჟორჟიკ მაღალოვმა გამიფანტა.

— იცი ეშმაკო ამბავი?

— როელი ამბავი, მეგობარო?

— ქვორუმის ამბავი.

სმენათ გადავიქეც.

— ვიცი, მაგრამ ისე. . რა მოხდა? დაიჭირეს თუ?

— არა, დაჭერას ვინ შეჰბედავს... დაჯარიმებით კი დააჯარიმეს.

— რას ამბობ კაცო?

— აბაჯ, ჯარიმა დაუწესეს. სირცხვილი კია. მაგრამ...

— რის სირცხვილი ჩემო კარგო, ჯარიმა კი არა ჩემი საქმე რომ იყოს ჩამოვახრჩობდი.

— ახლა უთუოდ ყოველ კრებაზე მოვა.

— ჯარიმის შეეშინება?

— რასაკვირველია.

— არა მგონია. კაცო ნოე ჟორდანიასი არ ეშინია, დამფუძნებელი კრების არ ეშინია, აკაკი ჩხენკელის არ ეშინია, ბენია ჩხიკვიშვილის არ ეშინია, იმას ჯარიმების შეეშინება? არ დაიჯერო ჩემო ჟორჟიკ.

დელონებული გამოვედი სასახლიდან. ერთი მეტათ ახირებული აზრი ამეკვიატა.

—ორში ერთი...—ვფიქრობდი მე— ეს ქვორუმი ან ბოლშევიკი კია, ან უკეთეს შემთხვევაში პროვოკატორი. ვინ არ იცის, რომ ბოლშევიკები პარლამენტარული მუშაობის წინააღმდეგნი არიან. ყოველგვარი საშვალებით ცდილობენ ისინი პარლამენტის სახელის გატეხას, მისი მუშაობის შეფერხებას და ქვორუმი რომ ჩვენს დამფუძნებელ კრებას სახელს უტეხს, ისე აბა რომელი კომუნისტი შეარცხვენს დ. გაუტეხს? ვინ იცის იქნება მოყიდული ვინმეა და განგებ შვება, რომ არც დამფუძნებელ კრებაში, არც მის კომისიებში, არც ქალაქის საბჭოში, არც ცენტრალურ კომიტეტში, ერთის სიტყვით ყველგან, სადაც კი ქვორუმი საჭიროა, საქმიანი მოღვაწეობა არ სწარმოებდეს.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკია ის, პროვოკატორია, თუ გულწრფელი ქართველი მოღვაწე, ეს ქვორუმი რაც უნდა დამიჯდეს მაინც უნდა ვიპოვო.

გუშინ პირდაპირ თავზარი დამცეს.

—აბსენტეიზმი საშინლათ განვითარდა. გუშინ შტაბის სხდომაზე ქვორუმი არ დარჩა და კრება დაიშალაო, ამბობდა ერთი სამხედრო პირი.

დამიჯერეთ, რომ ამ „აბსენტეიზმმა“ ცეცხლზე ნავთი დამისხა. ეს რაღა, ჯანაბა ამიხირდა ამ გაჭივრების დროს! . „ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდაო“ ნათქვამია და სწორეთ ისიც შემომიკეთა იმ მამაცხონებულმა ამ „აბსენტეიზმის“ სახით. მაგრამ მე იმისი გამოცდილება კი მაქვს, რომ ორ კურდღელს ერთად არ დაუწყო დევნა.

პირველ ყოვლისა ქვორუმი!. გაგონილი მქონდა, რომ დამფუძნებელი კრების ზოგიერთა ფრაქციებში ხშირათ ესწრება ქვორუმიო. მეც იქითკენ მივაშურე.

სოციალ-დემოკრატების ფრაქციაში ოცდაათამდე კაცი იჯდა, მაგრამ ქვორუმი მაინც არ იყო მოსული.

—მიტო ჯან, როგორ ატყობ, დღეს მოვა ქვორუმი?

— რა ვიცი, ჩემო კარგო... სევდიანათ მიპასუხა მიტომ და ვერ შევატყვე უხაროდა თუ სწყენოდა მისი მოუსვლელობა.

ნაციონალ-დემოკრატების ფრაქციაში მხოლოდ ერთად ერთი ასათიანი იჯდა და ქვორუმზე არც ფიქრობდა

უნუგეშო გამოდგა ფედერალისტების და ესერების ფრაქციებიც. ორივე ცარიელი დამხვდა.

მოკრძალებით შევაღე ეროვნული პარტიის ფრაქციის კარები. მოგეხსენებათ, რომ ეს ფრაქცია ერთი კაცისაგან შესდგება. საწერ მაგიდასთან ბ-ნი ვეშაპელი იჯდა. ძლიერ მესიამოვნა.

— ბატონ გრიგოლს გამარჯვება?

— გაგიმარჯოს, ბატონო ეშმაკო. რაზე შეწუხებულხართ?

— რასა ბრძანებთ... განა თქვენთან ყოფნა შეწუხებათ უნდა ჩაგვეთვალოს?

— მაინც...

— მაინც არაფერი ისეთი... მინდა გავიგო ცოტა რამ ქვორუმის შესახებ...

— რა მხრივ?..

— თქვენს ფრაქციაში თუ დადის კრებებზე?..

— თითქმის მუდამ ესწრება

— რასა ბრძანებთ?!

— თქვენ ნუ მომიკვდეთ..,

— დღეს მობრძანდება?

— როგორ თუ მობრძანდება? უკვე აქ გახლავს.

— ქვორუმს გეკითხები ბატონო გრიგოლ?

— დიახ, მესმის და მეც სწორეთ ქვორუმზე მოგახსენებთ.

— მაშ ეხლა აქ არის ქვორუმი?

— დიახ აქ გახლავს.

— აქ ჩვენ ორნი ვართ რამდენთაც ვიცი.

— უდავო დებულებაა...

— მაშ ჩვენ ორში ერთ ერთი, ყოფილვართ.

— თვენ ჯვარი გწერიათ. ჩვენს ფრაქციას მე შევადგენ...

— მერე ქვორუმი?

— როცა მე აქა ვარ, ქვორუმიც აქ არის, როცა არა ვარ ქვორუმიც არ არის.

— მაშ ქვორუმი...

— დიახ, ქვორუმი მე ვარ.

— ღმერთო ჩემო, ნუთუ თქვენ მართალს ამბობთ?

— თუ მე არ მიჯერით რეზოსა ჰკითხეთ.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

— რას მიეჩქარებით.

— ისე... საქმე მიმიწვევს.

— მშვიდობით.

ვეშაპელის ფრაქციიდან თავბრუ დახვეული გამოვედი. ეხლა კი აღარ ვიცი რა ვიფიქრო! ნუ თუ ქვორუმი მართლა გრიგოლ ვეშაპელია? იმდენ უხეირო საქმეებს შვება, რომ მისი ქვორუმობა არც კი გამიკვირდება, მაგრამ მაინც გული სხვას მეუბნება. ვნახოთ.

ეშმაკი.

შექანჯალებულის ლექსები.

ჰეი, ჰოი, ჰაი, ტაში!! ტაშია!!
ჩემს გოგრაში ცეკვა და თამაშია
გავიქეცი და თავი ვკარ ჯამშია...
კუჭი მეწვის: ჰო, ჰო, ჰო, ჰო—რა მშია!!
ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამა პაპური,
თორემ დღითი-დღე ძვირდება მჭად-პური,
გვეყო, გვეყო ამდენი მოთმინება,
ხვალ გირვანქა—ას მანეთად იქნება!
პურის ყალბი ბარათი შევიძინოთ,
ამით ოჯახს მჭლეს ბარაქა შევსძინოთ,
თუმც ვეწერე ერთხანს ბარათში მარტო,
შემდეგ „ცოლად“ ჩავიმასვქენ შიგ კატო,
პურის ულუფამ დიდათ არ იმატა,
კატო მივუმატე ცოლის და-მატა,
და იგი ჩემს „მკვიდრ შვილად“ სწრაფ წარვადგინე,
მშია და ბოროტებაც ჩავიდინე,
კვლავ დავსწერე ოჯახის წევრთა სია,
შევიტანე შიგ სიდედრი ტასია,
ძმის შვილები: ვანე და ალვასია,
ეფროსინე, კესო და მანასეა,
ავთანდილი, ლილი... და სხვაც ათასია—
—მკვდარი სულები მეთვლება „შვილებად“
და დღეში ფუთ პურს ვიღებ, მეტ-ნაკლებად.
შაქარიც მაქვს, ბრინჯიც.., სხვა სანოვაგეც,
ვაჰ, თუ „იმ.ს მიქნეს“ და პასუხიც ვაცე?..
ეჰ რაც იქნეს-იქნეს, ერთი ხომ გავძეხი,
მაგრად წარვსდგი ტროტუარზე და ფეხი
მაშ, სიცოცხლეს ვინ ძლევს ძმავ, უკმაკურსა,
თუ არ იმასქენ-ვერ ჭამ ლუკმა-პურსა,
ბრძოლა ძმებო, ბრძოლა მამაპაპური,
თორემ დღითი დღე ძვირდება მჭად-პური,
გვეყო, გვეყო ამდენი მოთმინება,
ჩქარა, თორემ მერმე გვიან იქნება...

———

რეკე!.. კე! კე! როკო!! კო!! კო.!!
გაგვიმრავლდა როგორც სოკო
„სიმბოლისტთა“ გამოცემა,
მის ავტორებს უნდა ცემა,
გაგვიძვირეს ქაღალდები..
დავსცხოთ მათ თავში წალდები..
რა მოვთვალო?!-ერთი—ორნი?!
„თოლაბულის—ნიამორნი,“
„ტფილისი“ და „თებერვალი“
—ორი თუმანი ღირს რგვალი,
აქ „პარნასი“—გონჯ-პირნასი,
„შვილდოსანი“, იქ მგოსანი,
ერთი მეორისა მჯობნი,
ტვინ ნანჯაყვნი, ჭკვა ნაღრძობნი,
აგერ, მართლა „კავრთო თავა“
ყველა ჭირმა გაათავა—
ყოველ დღე „ქ ნიან“ ჟურნალებს,
რავქნა, მათ ვინ უმკურნალებს
სტანჯავთ საწყლებს ჭკუის როკვა,
სულ ყველას უნდა გათოკვა,
მოგვკლავს იმათი „სიმბოლო“,
მოგვეღება ყველას ბოლო...
როკო კოკო... რეკეკეკე!!
ტაში ნინა, ტაში კეკე!!
ტაში თებრო, ტაში მართა,
თამაშობა გაიმართა
ცეკვობენ „სიმბოლისტები“,
მე კი აქ სიცილით ვკვდები!
რაშო, რერა, რაშო, რერა!!
რაშო, რერა! რერა, რაშო!!!
მიყვარს ლხინი, ცეკვა, მღერა,
მიყვარს ქეთო, მიყვარს მაშო,
მინდა ყველას ვეთამაშო,
ვიცელქო და ვიპარპაშო,
ეხლა მე გახლავარ „მსხვილი“,
ფულები მაქვს შეძენილი,
მონაგებ ჩაიმასქმნილი,
უარს ხომ ვერ მეტყვის ლილი.
მინდა ის შევირთო ცოლად,
რომ ვიცხოვროთ წყვილათ ტოლათ.

———

აბა დელი, დელია დელია,
ის კურსისტკა, ვიშ, რა საკოცნელია,
თუმცა კია, როგორც ვატყობ, ძნელია,

მისი ეშხით გავხდი შტერი, ხელია,
ლექციებზე შემიშალა ხელ-ა,
დამწვა, დამწვა, მომიკიდა ალია!!
კუდაბზიკობს, სულ ჩემსკენ აქვს თვალია,
პროფესორო!! მე შენთვის არ მცალია,
უნდა დამწვას, უნდა დამანელოს მე,
ყანყარტოში ვენაცვალე ჰელოს მე!!
შენ თუ მწყალობ-ვიხსნი საქართველოს მე...
არ გიყვარვარ?!—მაშ დამარტყი ქვაი მე
ვაიმე! ვაიმე! ვაიმე! და ვაიმ!!

— —

ტაში, ტაში, ძმავ ერმილე,
ტაში, ტაში, თეოფილე!
მო, გავმართოთ იუბილე,
სანამდი გვაქვს სიყმაწეილვ,
და ძვლებზე შეგვრჩა სირბილე,
მაშ, გავმართოთ, რაღას უცდით?!
რაღად გვინდა, თუ მოგხუცდით
კარგი ყოფნა და ფულები:
თუ არ გვექნება კბილები,
ჭამა-სმაც არ შეგვეძლება.
და სულიც ხორცს გაეცლება
ესაც შენი იუბილე—
სამარის პირს რო მიდგება,
ჩემო ძმაო, თეოფილე—
ვერც სჭამ, ვერც სვამ, ვერც გაძღები.
ესეც ღვაწლის დაფასება,
თვალი, ყური დაგევსება,
და კბილებიც ჩაგცვივდება,
ზეიმი რას წაგადგება.

— —

ქალო! აბა!
მოკლე კაბა
დაიკიდე უცებ წელზე
და ყულაბა,
მსურს მოგაბა
კოხტა ყელზე...
გასწი, ქალაქს მოედინე—
გადაუდექ ყველას წინა,
დაუკრიჭე, გაუცინე,
წაიყვანე ჰელო, ნინა
მოაგროვე სწრაფად ფულები:
აღვადგინოთ გორელები.

შექანჯალებული.

ღალატი*)

დიდ ბოდიშს ვიხდი, ბატონებო, თქვენსა და ჩვენი მასპინძლის, გალაქტიონ ტაბიძის წინაშე, მაგრამ დღევანდელ საღამოისთვის მე ვერაფერი მოვამზადე და ამოდენა საზოგადოებას მოლოდინი გავუცრუე. დამერწმუნეთ, ეს ჩემდა უნებურად მოხდა, მაგრამ სჯობია დალაგებით მოგახსენოთ ჩემი ღალატის ამბავი.

გალაქტიონ ტაბიძემ ორი კვირით ადრე მთხოვა მის „საღამოში“ მონაწილეობა და მეც მაშინვე შევუდექი დღეისთვის თემის არჩევას. ყბად-ასაღები და გასაიცხი ბლომად იყო, მაგრამ საქმე ყველაზე უფრო შესაფერისა და საამდროო თემის არჩევაა, და მეც ამ მხრივ ჩავუფიქრდი საკითხს.

— რა დავამზადო გ. ტაბიძის „საღამოსთვის“, ვფიქრობდი მე:

რა შეადგენს ამ ჟამად საზოგადოების ყურადღების საგანს?

და მე ჩამოვთვალე ყველა ეს საგანი: 1. სპეკულიაცია; 2. მიწის ძვრა; 3. ჩვენი სიმბოლისტ პოეტების ახალი ჟურნ. „შვილდოსანი;“ ათამდე ერთი მეორეზე მოხდენილი თემა ჩამოვწერე ამნაირად და შევუდექი სათითოოთ აწიან-დაწონვას.

პირველი—სპეკულიაცია!

— რა უნდა დავსწერო სპეკულიაციისა და სპეკულიანტების შესახებ, ვამბობდი მე; და მერე, კიდევაც რომ შესანიშნავი რამ დავსწერო, ხომ სავსე თეატრის წინაშე უნდა წარმოვსთქვა ეს ჩემი დაწერილი, უნდა გავკილო და გავაბახო სპეკულიანტები სავსე თეატრის წინაშე! მაშინ ხომ დაირღვა რუსული ზრდილობიანი ანდაზის მორალი: „о присутствующихъ не говорятъ“, რადგან მე სწორედ დამსწრეების შესახებ მომიხდება ლაპარაკი!

ეხლა კი ვხედავ, ბატონებო, რომ იმ დროს სასტიკად ვცდებოდი და დღეს თეატრში ერთი სპეკულიანტის ჭაჭანებაც არ არის, მაგრამ აბა წინ და წინვე მიხვედრა იმისი, რაც ორი კვირ ს შემდეგ უნდა მოხდეს, არა თუ ჩემისთანა უბრალო მომაკვდავს, მოგეხსენებათ ზოგჯერ გაზეთის რეპორტერსაც არ შეუძლიან,.

ამ მოსაზრებით პირველი თემა—სპეკულიაცია უარყოფილ იქმნა.

მეორე—მიწის ძვრა.

მიწის ძვრა, ეჭვს გარეშე, ჩინებული თემა იყო. მე ვფიქრობდი დამეწერა ამ სათაურისა ესკიზი: „რა გავლენა მოახდინა მიწისძვრამ ფედერალისტების ზოგიერთ საზოგადო მოღვაწის ტკინზე“.

ყველაფერი მოფიქრებული მქონდა და ის იყო წერას უნდა შევდგომოდი, რომ უეცრად ხელში ჩამივარდა გაზ. „Слово“-ს თებერვლის 28-ს ნომერი, სადაც ვინმე კ. ტ. გორის უბედურებას აღწერდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ავტორის ერთმა სამართლიანმა ფრაზამ, რომელსაც, ცოდვა გატეხილი სჯობია, „Слово“-საგან არ მოველოდი და რომლის აზრმა ფრიად ჩამაფიქრა: „მიწისძვრის მსხვერპლად გახდნენ გორისა და მისი მიდამოების ყველა მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისაო“, ამბობდა გაზეთი. ეს ჭეშმარიტი აზრი პატივცემულ სომხურ გაზეთისა იმდენათვე სასიამოვნო იყო ჩემთვის, რამდენადაც

*) წაკითხული სახელმწ. თეატრში გალაქ. ტაბიძის საღამოზე.

მოულოდნელი: სჩანს, „Слово“-ს აზროვნებაში დიდი ევოლიუცია და წინსვლა მომხდარა, რომ ჩვენს, **ქართულ მიწისძვრას** ეროვნულ მიკერძებას არ უსაყვედურებს და საჯაროთ აღიარებს, ხსენებული მიწისძვრა **თანაბრად შეეხო ყველას,** განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და პოლიტიკურ რწმენისაო.

მართალია, მეორე წერილში პატივცემული გაზეთი გადაჭრით ამტკიცებდა, გორი სომხების ქალაქია, რადგან დავით აღმაშენებელმა ლტოლვილ სომხებს გაუშენა ეს ქალაქი XI საუკუნეშიო, ასე რომ მკითხველს მაცდური ეჭვიც კი გაუელვებდა თავში, მთელი საქართველოს ტერიტორიაზე რაღა მაინცა და მაინც სომხური ქალაქი გორი აირჩია მიწისძვრამ თავის ასპარეზათო, მაგრამ ზემოდმოყვანილი ფრაზა ნათლად ამტკიცებს, რომ „Слово“-ს ასეთი მზაკვრული აზრი თავში არ მოსვლია.

პირიქით, ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ გაზ. „Слово“-ს გავლენით „აშხატავორმა“ ხელი აიღო ერთი წერილის დაბეჭდვაზე, რომელიც აწყობილი ჰქონდა კიდეც. ამ წერილის სათაური იყო „გორის მიწისძვრა ანუ ნოე რამიშვილის ახალი ჯოჯოხეთური რეპრესიები“ და ავტორი ამტკიცებდა, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა განზრახ მოაწყო მიწისძვრა საგანგებო რაზმის დახმარებით, რათა გორსა და მის მიდამოებში მცხოვრები სომხობა ამოეხოცაო. (აშხატავორის აზრს, როგორც ვიცით, ქართველი ეს ერებიც სავსებით იზიარებენ და ფედერალისტების პროფესორებიცა და სტუდენტებიც ემხრობიან ნაწილობრივ).

პატივცემულ გაზეთ „Слово“-ს ზემოხსენებულმა წერილმა კიდევ უფრო მიტომ გადამაფიქრებინა მიწის ძვრის შესახებ რისამე დაწერა, რომ ავტორი სრულიად ახალსა და ორიგინალურს, მაგრამ ეჭვმიუტანელ აზრს გამოსთქვამს მიწის ძვრის მნიშვნელობის შესახებ. „მიწის ძვრაო, ამბობს იგი, ყველას აახლოვებს ურთიერთან და საერთო აღორძინებისაკენ მიჰყავს ხალხი“: (Несчастыне (т. е. землетрясеніе) роднит всѣхъ и ведетъ къобщему возрожденію“) ამის და გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ მიწის ძვრის თვისებას შეადგენს. 1) სრული მიუდგოლობა (მან არ იცის ეროვნული მიკერძება); 2) ყველას აახლოებს ერთმანეთან და ძმობას და სიყვარულს ამყარებს ქვეყანაზე, და 3) სრული აღორძინებისაკენ მიჰყავს ხალხი, ერთი სიტყვით, მიწის ძვრა ყოფილა ყოვლად სასიხარულო და სასურველი მოვლენა, ხოლო ამის წინააღმდეგ ვის რა ეთქმის?

როგორც ჰხედავთ, აქაც გამიცრუვდა იმედი და ეს მეორე თემაც არ გამომადგა.

მესამე თემა—ჟურნალ „შვილდოსანის“ პოეტები გახლდათ.

ამ თემაზე დიდ იმედებს ვამყარებდი, ბატონებო, და ამის გამო გულის ფანცქალით შევუდექი ჟურნალ „შვილდოსნის“ კითხვას, მაგრამ, დახეთ ჩემს უიღბლობას: ბედმა აქაც მიმტყუნა: მე ვეღარც კი ვიცანი ჩემი ძველი ნაცნობი ლოთი ძმები, „ცისფერი ყანწების“ დარდიმანდი რაინდები. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, ბატონებო, როგორ გამოცვლილან და დადინჯებულან, ძველი უებარი ფუქსავატური გზა დაუგდიათ და მეცნიერების წყაროს დასწაფებიან ისეთის გაშმაგებით, როგორც გატაცებულ ჭაბუკს შეჰფერის.

ჩვენი პოეტების განსაკუთრებულ ყურადღებას ჟურნალის ორთავე წიგნში უმთავრესად მედიცინისა და ჰიგიენის საკითხები იპყრობენ. შესანიშნავია მათი თამამი და გენიოსური გამოკვლევა მედიცინის სფეროში, რომელიც ძირიან ფესვიანად სთხრის დღემდე გამეფებულ მეცნიერულ აზრს მალარიის წარმოშობის შესახებ. იმ ლექსში, რომელიც ამ საგანს ეხება, ავტორი შეურყეველის საბუთებით არღვევს ძველ აზრს, თითქო მალარიის გამავრცელებელი და ამცრელი იყოს კოღო. ავტორი ამტკიცებს, რომ ამ საშინელ სენს კოღოები კი არა, არამედ მხოლოდ ღვდლები აცრცელებენ ქვეყანაზე და ლექსსაც სათაურათ „ღვდელი და მალარია“ ეწოდება. მართალია ნიჰიერი ბაკტერიოლოგი=პოეტი თავის ლექსათ დაწერილ გამოკვლევაში რამდენჯერმე იმეორებს: ძველია თემა: გიჟი ღვდელი და მალარიაო, მაგრამ ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ ეს თემა სულ ახალია და თუ მეცნიერი მაინც დაჟინებით იძახის, ძველიაო, ეს მხოლოდ მისი მორცხვობით აიხსნება, იმ მორცხვობით, რომელიც ეგრე რიგათ ახასიათებს ჩვენს სიმბოლისტ პოეტებს.

კიდევ უფრო საოცარია „შვილდოსნების“ მინაღწევი ჰიგიენის სფეროში. როგორც სჩანს, ამ დარგში მათ დიდი ჯაფა და ენერგია დაუხარჯავთ და, მადლობა ღმერთს, ფუჭად არ ჩაუვლია ამ გარჯასა და მხნეობას. სადაც მეცნიერებაა ბატონებო, იქ გულ წიწკობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს და მე თქვენ გთხოვთ, დამშვიდებით დაუგდოთ ყური მეცნიერ პოეტების საოცარ ჰიგიენურ მინაღწევს: „როს შემოიქდობ თმა-გაშლილ თავზე ნაზი ზჰორეებით თეთრ შიშველ მკლავებს,— **მხურვალე კოცნით ამოგიშრობ ოფლიან ღლიას“,** ამბობენ ისინი „შვილდოსნის“ მეორე ნომერში. ერთხელ კიდევ გთხოვთ, ბატონებო, ნუ მიაქცევთ ყურადღებას ამ სტრიქონის ოდნავს ანტიესთეტიურობას ღა დაუფიქრდით, რა ბედნიერებას შეიცავს კაცობრიობისთვის ეს უბრალოდ ნათქვამი სიტყვები. თუ ერთი კოცნით ერთ პოეტს ასეთი საკვირველი შედეგის მიღწევა შეუძლია, რამდენკაცს გაათავისუფლებენ ოფლისაგან ყველა ჩვენი ახალგაზდა მეცნიერი-პოეტები, ვთქვათ, ათასი კოცნა რომ გაიღოს თითო მათგანმა? ჭეშმარიტად, ჩვენ შეგვიძლიან სამართლიანათ დავიქადოთ, რომ

ჩვენმა ეროვნულმა პოეზიამ მიაგნო უებარ საშვალებას ოფლის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ, თქვენ თითონ დამეთანხმებით, რომ ასეთ სასარგებლო პოეტების დასატუქსავად მე ენა არ მომიბრუნდებოდა და ამის და გვარათ მესამე თემაც გამიცუდდებოდა.

ასეთი ბედი ეწია დანარჩენ ჩემ თემებსაც და ამ ჩემი განცხადების შემდეგ, იმედია, მაპატივებთ, რომ დღეის „საღამოსთვის" ვერაფერი დავამზადე სცენაზე სათქმელად.

თაგუნა.

დამფუძნებელი კრება.



რაუდენ არსენიძე

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი და მიწისძვრის მთავარი ხელმძღვანელი. დაიბადა. ძველი რეჟიმის დროს მონარქიულ რუსეთში. მაშინდელმა მთავრობამ იმ თავითვე იცოდა, რომ რ. არსენიძე ოდესმე იუსტიციის მინისტრი გახდებოდა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მის მოსამზადებლათ ამ თანამდებობის თვის უმეტეს დროს ციხეებში ატარებინებდა ტუსაღთა ყოფაცხოვრებისა და ბოროტმომქმედთა ბუნების შესასწავლად:



გრიგოლ გიორგაძე.

დამფუძნებელ კრების ს. დ. ფრაქციის წევრი. ძველ მთავრობას არ უყვარდა, სამაგიეროთ ახალი მთავრობა მან ძლიერ შეიყვარა. როგორც ცნობილი იურისტი, დანიშნულ იქნა სამხედრო მინისტრათ. მისი მინისტრობის დროს ფეხი აიდგა ქართულმა ჯარმა.

ბ ა თ უ მ ი.

(ისტორიული მიმოხილვა).

ქვეყნის დასაბამიდანვე ბათუმში სცხოვრობდა ქართველი. სცხოვრობდა ქართველოურად: იყო მსტუმართ მოყვარე, თავაზიანი და გულ-ალალი.—ვნახოთ, ერთმეორეს ერ დღეს კარზე უცხ სტუმარი ოადგა.

— მე ბერძენი ვარ: გთხოვ მასპინძლობა გამიწიო, უთხრა მოსულმა.

— სტუმარი ღვთისაა, უპასუხა ქართველმა: მოიქეცი ისე, თითქოს შენს სახლში იყო!

სტუმარმა პირნათლად შეასრულა ეს, სახლ-კარი მიითვისა და მასპინძელი თავისებურად გამოაწყო

გავიდა დრო. დროთა ბრუნვამ ბერძენი თან გაიყოლია, და სამაგიეროთ ქართველს ვენეციელი ეწვია.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება: სტუმარი ღვთისაა... მოიქეცი ისე, როგორც შენს სახლში, უთხრა ქართველმა.



ვენეციელიც სწორედ ასე მოიქცა: სახლ-კარი მიითვისა და მასპინძელიც თავის ჭკუაზე გამოაწყო.

გავიდა დრო. ვენეციელი წყალმა წაიღო. სანაცვლოდ ბათომელ ქართველს თათარი ეწვია.

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, უთხრა ქართველმა: სტუმარი ღვთისაა. მოიქეც ისე როგორც შენს სახლში.

ასეც მოიქცა: მიითვისა სახლ-კარი და მასპინძელი თავის რჯულზე გამოაწყო.

გავიდა დრო. ოსმალოს ნაცვლად ბათუმს რუსი ეწვია:
— სტუმარი ღვთისაა... მოიქეცი ისე, თითქოს შენს სახლში იყო,—უთხრა ქართველმა.

რუსმა თავისი ქუდი ჩამოაფხატა თვალებზე ქართველს.



წავიდა რუსიც და ბათომს ინგლისელი ეწვია.
—სტუმარი ღვთისაა, უთხრა გონზე მოსულმა ქართველმა, მაგრამ ბათუმი კი ჩემია: ღილით ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ შეგაგვიანდა...

პატარა ფელეტონი.

ზოგი ჭირი მარგებელია.

თითქო საქურდლათ მივდიოდი, ისეთის შიშით და მოკრძალებით ჩავედი რესტორან „შამპანის“ კიბეზე და ბნელს ალაგას პატარა სტოლს მოვუჯექი:

ჩემ წინ სპეკულიანტ ბერძენთა მხიარული ჯგუფი სადილობდა.

ზურგთ უკან, კაბინეტში, ცნობილი ქართველი ჭრიჭინები ქეიფობდენ. მათ გუნ ინ გაესაღებიათ სასურსათო სამინისტროდან გამოტანილი ნებართვა და ხასიათზედაც იყვენ.

მარცხენა ფრთაზე უცხოეთიდან გადმოხვეწილი ბურჟუაზია მიჯდა, განურჩევლად სქესისა.

ხოლო მარცხენა ფრთით მიბჯენილი ვიყავ ცივსა და ნესტიან კედელზე.

როგორც ხედავთ, პირწმინდათ ალყა შემორტყმული ვიყავი მოწინააღმდეთაგან და ჩემს მდგომარეობას უნუგეშოდ ვთვლიდი.

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ შოთას თქმულება: „ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა“ო.

ჩემი საქმე თურმე ორს ჩემთვის სრულიად უცნობ პირს გაუკეთებია.

— აბა, ფრთხილად. ... მე წამიკითხავს... ცნობილი გვარდიელია... ჩამესმა ყურში შორეული ჩურჩული ვასილ ივანიჩისა და თვალი მიმოვავლე რესტორანს, იქნებ ვალიკო ჯუღელი ზის სადმე მეთქი.

ჯერ კარგათ არც კი მქონდა მოფიქრებული თუ რა ულუფა მომეთხოვა, რომ მოუმზადებელს ორი ანგელოზი თავს დამეცა.

— რას ინებებთ, ბატონო?

— რას მიირთმევთ, ბატონო?

იმათ სხვა მოჰყვა, იმათ კიდევ სხვა და ჩემს ირგვლივ მანდილოსანთა მიტინგი გაიმართა. ჩემი სუფრა „შამპ.ნის“ მოქეიფეთა ყურადღების და, შე. მიძლია ვსთქვა, შურის საგნათ იქცა.

— რა ამბავია ჩემს თავს! ვფიქრობდი მე, რამდენათაც ასეთ მდგომარეობაში შესაძლებელი იყო ფიქრი და გონს ვერ მოვსულიყავ.—ნეტავ ვინ ვგონივართ ამ მამაცხონებულებს? მთავრობის წევრი მე არა ვარ, დამფუძნებელი კრების დეპუტატობა ღმერთმა არ მარგუნა, სპეკულიანტობა ვერ მომიხერხებია, რომ ჩემი იმედი ჰქონდეს, მომარაგების სამინისტროში არა ვმსახურობ, რომ სურსათის შეძენას აპირობდეს. ერთი საწყალი ფელეტონისტი ვარ, რომელსაც ბ-ნი ეშმაკი ყოველგვარ შავ სამუშაოზე მგზავნის და ვერ გამიგია რამ გამოიწვია ასეთი ჩემდამი ყურადღება.

— მიბოძეთ შჩი; შემდეგ ენა... დარცხვენით ვუთხარ ერთ ერთ დიაცთაგანს და თავი ჩავღუნე.

— ეხლავ, ბატონო?

უცებ ჩემს სუფრაზე მთელი ქალაქი გაშენდა. მომიტანეს თვალწარმტაცი და მკვდრისთვისაც მადის აღმძვრელი შჩი, მშვენიერი ისპანახი, საუცხოო ზუთხის ნაჭრები, ძველი დროის მომგონებელი თეთრი შოთის პური, ერთი ბოთლი ნაფარეული, ხიზილალა, მწვანილი და სვ. და სხ

— მე, ქალბატონო, მხოლოდ შჩი მოვითხოვე. ეს ალბათ სხვამ შეგიკვეთათ.

— არა ბატონო, ნუ სწუხდებით, მიირთვით.

კარგია თქვენმა მზემ, ნუ შესწუხდებით. მირთმევაზე რასაკვირველია დიდი შეწუხება არ დამადგება, მაგრამ დაბოლოს გადახდის ჯერიც ხომ მოვა. არა, მე ამათ უთუოდ დათიკო ქებაძე ვგონივარ. საზოგადოებამ ეჭვის თვალით დამიწყო ცქერა. ყველას მილიარდერი ვეგონე, ამაში ეჭვი არ შემდის.

მეორე ულუფათ ჩემგან მოთხოვნილ „ენის“ ნაცვლად მომართვეს „ციპლიონკა ტაბკა“ და „ფილე ნავერტლე“, იმას მოჰყვა ტკბილეულები, იმას ხილეულობა, იმას ყავა...

დადგა უსაშინელესი მომენტი. ძველი დროის ფასებითაც რომ მეანგარიშა, ცხადია ვალი დამედებოდა. „სჩოტს“ ისე ველოდი, როგორც სულთა მხუთავს. მანუგეშებდა მხოლოდ ის გარემოება, რომ რესტორანი თითქმის დაიცალა და ჩემს ირგვლივ ალყა მოიხსნა,

— მადლობა ღმერთს, თუ უფულობის გამო გამლანძღავენ, ან მცემენ, კარგია, ვერავინ დაინახავს მაინც. ვინუგეშებდი თავს და ანგარიშის გასწორებას მოველოდი.

ანგარიში კი არავის მოჰქონდა. მორცხვად დავაკაკუნე თეფშის კიდეზე და რამოდენიმე მსახური ჩემს გვერდით გაჩნდა.

— აბა ერთი ანგარიში გვიბოძეთ.

—რის ანგარიში, ბატონო, რასა ბრძანებთ... აი ახლავ ვასილ ივანიჩს დავუხაძებთ.

ვასილ ივანიჩიც მოვიდა.

—გთხოვთ ანგარიში გვიბოძოთ, ბატონო ვასილ.

— აბა რასა ხუმრობთ, ბატონო, არც ისე დაკარგულები ვართ, რომ...

— კარგი, თუ ღმერთი გწამს; შეიძლება სრულიად ვერ გადავიხადო, მაგრამ რაც დამაკლდება იმას ხვალ მოგართმევ...

— ნუ გვცდი, ბატონო, ჩვენ არც ისე ჩამორენილები ვართ, რომ თქვენი...

— რა ჩემი, კაცო? მე დარწმუნებული ვარ ვიღაც სხვა გგონივართ...

— აბა, რასა ბრძანებთ, თქვენ რაც უნდა მოინდომოთ, ჩვენ მაინც ვიცით ვინც...

— სწორეთ ვეღარაფერი გამიგია..

— კი გაგიგიათ, ბატონო, კი.! ჩვენ ისედაც მადლობელი ვართ, ამხანაგობას გეფიცებით.

— რის მადლობელი ხარ, კაცო, გამაგებინე მაინც!

— ბატონო, თქვენ ჩემოდენი ცოდნა თითის ნეკში გაქვთ... ჩვენ გვარდიას დიდ პატივს ვსცემთ რამდენადაც..

— მერე მე რა შეაში ვარ?

— ჰე, ჰეეე... ნუ გვეხუმრები შენიჭირიმე, ჩვენ საჭმელი არასოდეს არ შეგვაშინებს, საქმე ჭურჭლეულობაა. ახლა ისეთი დრო დადგა, რომ ფულიც მქონდეს, სასყიდლათ ვერ იშოვნი.

— ეს მართალია.

ჰოდა მეც მაგას მოგახსენებ, რომ მართალია, ერთი თეფში მეტი გვიღირს, ვიდრე მთელი სადილი.

— ეს კარგი, მაგრამ მე რა შუაში ვარ.

—ნტავი თქვენსავით იყვენ ყველა გვარდიელები. თქვენ გვარდიელი კი არა, იესო ქრისტე ყოფილხართ.

— კაცო, შენ ხომ არ გაგიჟდი? სადაური გვარდიელი მე მნახე?

— წაგვიკითხავს, ბატონო, წაგვიკითხავს... მართლა ისე როდია ჩვენი საქმე...

— ვსთქვათ, გვარდიელი ვიყო, მერე რა მოხდა, რაშია საქმე...

— არა, მე ყველაზე კი არ ვამბობ. ფრონტის გვარდიელები ხატათ უნდა დაიკიდო კაცმა... ეს ზაპასნოები რომ არიან... ვინ დაუშლის ბატონო? დაამტვრიონ რომ იშოვებოდეს, მაგრამ აკი მოგახსენე, ერთი თეფში ათასი მანათი ღირს და ვერც იშოვი გასაყიდს.

— ბ-ნო ვასილ, ერთი ქრისტიანულად გამაგებინე, ფულს რატომ არა მთხოვ, რა არის მიზეზი.

— ისა შენი ჭირიმე, რომ არაფერი დაგიშავებია. აი თქვენ ის უნდა ნახოთ, როცა ორიანტის გვარდიელები ვარლამ ყიფიანი და ბეჟანა გოცირიძე შემოვლენ ხოლმე საქეიფოთ...

— მერე?

— მერე ისა, რომ აქ მთელი აღარაფერი დარჩება...

— რატომ?

— რა მოგახსენოთ... ზაპასის გვარდიელები არიან და ახლა ისე ადვილათ ხომ ვერ შებედავ კაცი...

— მერე მე ფულს რატომ არ მახდევინებ? შეკაცო, ერთი თუ დაგიმტვრევს, მეორეს მაინც გადაახდევინე.

— არა, შენიჭირიმე... შენ გვარდიელი კი არა, ანგელოზი ყოფილხარ. კაცმა რომ თქვას ეს ზაპასნი გვარდიელობა უფრო სხვა რამე ყოფილა.

ბევრი ვაჯერე ვასილ ივანიჩი ჩემგან ფული მიეღო, მაგრამ იმ ორი გვარდიელისაგან დაშინებული, ვერას გზით ვერ დავითანხმე. გულში ცოტა არ იყოს კიდევაც მიხაროდა ეს გარემოება. ერთი გული იმასაც კი მეუბნებოდა,—წადი ნახე ის მებრძოლი „ზაპასნი“ გვარდიელები და მადლობა უთხარი, რომ სირცხვილს გადაგარჩინესო, მაგრამ ვამჯობინე ეს სხვა დროსათვის გადამედო. ვინ იცის, იქნებ სადმე ბრძოლის ველზე შევიყარნეთ ერთად (თუნდაც იმავ „შამპანში“) და მაშინ გავამხიარულებთ ერთმანეთს ამ სასიამოვნო მოგონებით.

როცა „შამპანიდან“ ქუჩაში ამოვედი და თავი სამშვიდობოზე ვიგრძენი, მაშინ მივხვდი იმ თქმულების გონიერებას, რომელიც ამბობს:

— ზოგი ჭირი მარგებელიაო.

მორიელი.

ქუთაისი.



დაგვიანებული სცენები ქუთაისის ბულვართან.

წელის საკითხი ქუთაისში



მეგოლჭკე და ქუთათური მოქალაქე წინათ.

მებოქკე დღეს

ბრძოლა წყლისათვის

თუთი-ნამედან.

ბაყაყისა, კრაზანასი და ჩიტის შესახებ, თუ როგორ სძლიეს მათ სპილოს.

თუთიყუშმა დაიწყო:

ერთ ქალაქში ქოლგის მზგავსი ხე იზრდებოდა. ამ ხეზე თავისი ბუდე გაიკეთა, კვერცხები დასდო უწყინარმა ჩიტმა გულ-წითელამ. ერთხელ მოვიდა სპილო და ხის ღეროზე ზურგის ფხანა იწყო. ძლიერი შერხევისაგან კვერცხები ძირს ჩამოცვინდა. გულ-წითელამ შორი ახლო იწყო ფრენა, სხლტომა ტოტიდან ტოტზე და ტირილიც შორთო. მაგრამ რა უნდა გახდეს უსუსური ჩიტი სპილოსთან?

გულ-წითელამ თავისთვის თქვა:

— მძლავრი მტერი დამარცხებულ უნდა იქმნას მოხერხებით.

გულ-წითელას ჰყავდა მეგობარი ჩიტი, სახელად ნისკარტ-გრძელა. გულ-წითელა მასთან გაფრინდა და თავისი ჭეუხარება უამბო.

— სპილომ დამიჯაბნია, სთქვა მან. მიიღე ისეთი ღონის-ძიება, რომ შური ვიძიო მასზე. მეგობრები უფრო მეტად პირშია საჭირო.

— ომი სპილოსთან ძნელი საქმეა — უპასუხა ნისკარტ-გრძელამ. მასზე ერთის მისვლა ყოველად მოუხერხებელია. მე მყავს მოყვარე კრაზანა. ის ძალზე ჭკვიანია. მასთან ერთად რასმე ვიღონებთ.

ისინი გაფრინდენ კრაზანასთან. მან მოუსმინა მათ და შეშინებულმა სთქვა:

— მე მზათა ვარ ვემსახურო მეგობრებს, მაგრამ მე კიდევ მყავს მეგობარი, ბაყაყთა ჯარის სპასალაინი. საჭიროა იმათაც გავაგებინოთ ეს ამბავი.

გულ-წითელა, კრაზანა და ნისკარტ-გრძელა ერთად გაფრინდენ ბაყაყთან და შველა სთხოვეს.

ბაყაყმა უღრმესი მწუხარება გამოხატა გულ-წითელას კვერცხების ბუდის გამო და წარმოსთქვა.

— ნუ სწუხართ! ოსტატობით მთის გადაბრუნებაც კი შეიძლება.

ცოტა ხნის შემდეგ მან დასძინა:

— მე მოვიგონე ხერხი, თუ რარიგად ვსძლიოთ სპილოს. აი როგორ: კრაზანა სპილოს ყურთან მიფრინდეს და თავის ნელი ბზუილით მოთმინებიდან გამოიყვანოს იგი. როდესაც სპილო ძალზე გაბრაზდება, ნისკარტ-გრძელამ თვალები უნდა დასთხაროს მას და დღის სინათლე დაუბნელოს.

რამოდენიმე დღის შემდეგ სპილოს წყურვილი შეაწუხებს, მე მის ახლოს გავჩნდები და ყიყინს მოვრთავ. ის ჩემს ხმას გაიგონებს და იფიქრებს:

— სადაც ბაყაყია—იქ წყალიც უნდა იყვესო და გამომყვება. მე კი ისეთ ალაგას მივიყვან—საიდანაც ვეღარ გამოვიდეს. ვერვინ გაიგებს მის ღრიალს და იქ შიმშილისაგან სულიც ამოხდება.

ასეც მოიქცენ. მოხერხებითა და მაცდურობით დაღუპეს სპილო.

თუთიყუშმა არაკი ასე დაასკვნა:

— ორმა-სამმა სუსტმა უღონო პირუტყვმა კავშირი შეჰკრა და სპილო წაახდინა, რის შემძლე უნდა იყვეს გონიერ არსებათა კავშირი?

სარასტანი.

ოხ, ვეჩერის მომგონო?!...*)

(სცენა ჭიათურისათვის)

სახსოვრად ა. მარგიანს.

ჩემი ცოდვით დაიწვოს ვინც ეს ამაღამინდელი ვეჩერი მაიგონა!

ორშაბათ დილაა ვზივარ ჩემთვის ფეჩთან მოხრუკული, ფიქრებმა წამიღო. დაცდილი მაქვს, როცა ჩემი შუშანა ღრენას დამიწყებს, იმ დღეს ჩემ თავს კარგი არ იქნება. მერე რაც უნდა ვეფერო, სულ რომ ფინია ძაღლივით გამოუგორდე კალთაში, თუ შაჯდა ერთი მერე ბერეგის!

ის იყო ხელი ასწია შუშანამ, უნდოდა თავში ჩაეთხლაპებინა.

რომ ერთიც ვნახოთ ჩემ იღბალზე ვილაცამ კარი შამოაღო და დიდი პაჩტენიით შამოვიდა.

ჩესტ იმეიუ პაზნაკომიტსა ია ჩლენ კომიტეტ...

სიტყვა აღარ დავათავებინე რაკი კომიტეტი რომ გავიგენ. შიშით გამაზანზალა და მამენტალნათ მივაძახე:

ია საპოჟნიკ. ია საპოჟნიკ! და ჩემს ძირგამოვარდნილ ჩექმებს მივვარდი. შეშინდა ვაი თუ უსაქმო ვინმე ვეგონო და გადამასახლოს გრუზინწკი რესპუბლიკიდან მეთქი.

ვიცით რა საპოჟნიკიცა ხართ, თავს ნუ იკატუნებთ, გოსპოდინ, გოგია! ია აკაკი დავითიჩ მარლიანც, პროსიმ ვას ნა ფედერალიჩესკი ვეჩერ ნაპისატ ნოვი სცენა ი ნემნოშკო პოშუტკოვატ!!

ვიფიქრე: სომეხი ყოფილა, ჩვენი კაცია მეთქი და გავსწორდი წელში. სახეც მემცნაურა, მგონი გოროცკოი უპრავაში მინახავს. თითქოს ერთათაც გვექეიფნია, ყანწებითაც გვიყლაპია, მაგრამ როგორ გამიწყრება ქითაბი რამე გაუბედო!

ვინ იცის აშიპკაში ვარ, კაცს იქნება ბაშბით აწვეთებენ პირში ღვინოს და მე აქ ყანწებზე დაუწყო ლაპარაკი. ვეებნენი:

სლუში, გოსპოდინ მარლიანც, მი, კაუეტსა, ტუბე ზნაიმ... ის მეუბნება:

ზნაიმ, კაკ ნე ზნაიმ, ვი ლუბიტე ვინო ყლაპავატ, ზაკუსკი კუშიტ, ი პატამუ: მი, პარმენ, შაქრო, სოსან, დავით არსენიჩ ი ვსე ნაში დევკი პრიგლაშაიმ ვას ნა ვეჩერ. სკოლკი ხოჩიშ ზუთხი, ვინო, ვი ტოლკი ნემნოშკო მოშუტკუიტე ნა ვეჩერ!!.

ზუთხი და ღვინო რომ გავიგონე კბილებმა კაწკაწი დამიწყო და მივეცი ჩესტნი სლოვა, დაგვემშვიდობა მარლიანცი და წავიდა. მე სიხარულით ცას ვეწეოდი ჩემი შუშანა კი ისე გაბერილა, თითქოს საპოც ვედრიანი რუმბიაო! დაუწყე ალერსი ვეხუმრები, მინდა გუნებაზე მოვიყვანო და ვეჩერში გამიშვას. ლოყაზე ხელი აუსვი, მარჯვენა თვალიც მოუჭუტე მაგრამ იმისთანა ასმა თქვენ მტერს მე იმან ამისვა და ჩამისვა! უკეთესი მასაჟისტი ღმერთმა შეარცხვინა! სულ ნიკნები ჩამამტვრია! გვერდებს ისე გაჭქონდა ბაგი-ბუგი, გეგონება ხალიჩასა ბერტყამენო!

თურმე იმ დევკებს გადაურევია ეს ქაჯი ესა!-- „როგორაო, შენ გოგოებში მიბრძანდები საქეიფოთ და მე სახლში ვიყოვო, ამ ნიმუტში მიყიდე საეჩერო კაბაო, თორემ თვალებს ამოგწიწკნიო! შენ წახვალ და მეც იქ უნდა ვიყო, რომ პროვერკა გაგიკეთოვო!“ ისე ადვილათ მეენება ამ კაბის შეკერვას თითქოს ხოშტაროვი ვიყოვო!

კაბაც რომ შეუკერო, ხალხნო, სად გამოვიყვანო ის მაწაუკი ისა! მე შენ გითხრა ელექტრიჩესკი ლამპები რომ ჩაქრეს ის გაანათებს რაღა! მოდი და თავის მოსაჭრელად ამისთანა ქალი წაიყვანე ვეჩერში!

ვეებნენი:

— დედაკაცო, ვეჩერში რა გინდა, იქ ვილაცა არშიყობას დაგიწყებს და დავიღუპები მეთქი.

— „როგორ მასხარათაც მიგდებო?!“ გამიგდო ფეხქვეშ და სულ ნაკლული ტიკიკით მაჯანყალა! გადის გამოდის ზურგზე და მე კი ქვეშიდან „ვიყ“, „ვიყს“ ვიძახი! იმდენი მცემა, იმდენი რომ ახალი სცენა კი არა, რაც დაწერილი მქონდა ძველათ, ისიც სულ დამავიწყდა! გამოუსხლტი ხელიდან და აქეთ გამოვიქეცი. ამდენი ჯანჯღალისა და ცემისაგან კარგათაც მამშივდა და ღვთის წინაშე სიხარულით შამოვედი აქ, რადგან ვიცოდი რომ ტავარიშჩ მარლიანცი ღვინითა და ზუთხით გამომაძღებდა, მაგრამ ეხლა მომაგონდა რომ მე ჩემი ახალი დაწერილი სცენა უნდა წამეკითხნა ვეჩერზე და მხოლოდ მაშინ, მაგრამ ეხლა ვიღა რას მომაშავებს! ოხ, მარლიანცო, ჩემი ცოდო გეღოს ამინის უკუნისამდე, რომ შენ მე ამ დღეში ჩამაგდე! ცალკე ცოლს გაბეგვინე ჩემი თავი და ცალკე ამ ობ-ჩესტვოში შემარცხვინე! რომ დაიღე ხახა სამსონ ბერიშვილივით და შუშანასთან დამილაგე ყველაფერი თუ: „ვეჩერში წამოდი, დევკებთან გაქეიფებო? ბიჭო, შე ყურუმსაღო, გეთქვა ჩუმათ და სცენას დაგიწერდი იმისთანას, რომ შარვლის ღილები ჰაერში აფრიალებულიყო!

გოგია.

*) ეს სცენა წაკითხულ იქნა ჭიათურაში ფედერალისტების საღამოზე ავტორის მიერ.

ფოთის სამეურნეო აკადემია.

ფოთის სამეურნეო აკადემიაში გაცხარებული მუშაობა სწარმოებს: ჯერ ჯერობით მოხნულია 47 დესეტინა მიწა. ვინაიდან პურეულ მცენარეთა თესვა ძალიან დიდ შემოსავალს იძლევა, აკადემია თვით ქალაქის ხვნასაც შეუდგა და აზრადა აქვს მოსთხაროს ყველა სახლები ყანების დასათესად.